პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОММУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი | № 213 (10299) | ხუთშაბათი, 8 სექტემბერი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

საბჭოთა საქართველოს დღე

* * *

პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად





თბილისის ლოკომოტივსარემონტო ქარხნის კოლექტივი, რომელიც მონაწილეობს სკკპ XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, წარმატებით იბრძვის წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. ქარხნის კოლექტივმა იკისრა წლის ბოლომდე პროდუქციის თვითღირებულება შეამციროს სულ ცოტა 2 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება გაადიდოს 3 პროცენტით. უკვე ბევრად შემცირდა ელექტრომავლებისა და თბომავლების რემონტში ყოფნის ვადა. აქ მალე ამოუშვებენ მეორე 75-ტონიან ამწეს. ქარხნის კოლექტივმა გადაჰპარებებით შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების რვა თვის პროგრამა. წარმატებით ხდება ახალი ტექნიკის ათვისება. ქარხანაში დანერგილია ლოკომოტივის სარესორო საკიდართა ლილვაკების გამოწრთობა მაღალი სიხშირის დენით. ეს გაუმჯობესებს შრომის ნაყოფიერებას ამაღლებს ხუთჯერ, აუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს და ამსუბუქებს შრომას.

ქარხნის სარეღუქტორო განყოფილებაში დადგმულია ახალი ნახევრადავტომატური კბილანასაღარავი ჩარხი, დანერგილია ახალი რაციონალიზატორული გაუმჯობესება.

სურათებზე: 1. ელექტროტექნიკოსი გ. გიგილაშვილი ახდენს თბომავლის ლილვაკის ზედაპირის წრთობას; 2. კბილანების მღარავი ა. ბორშჩევსკი ყოველდღე ორ-ორ ნორმას ასრულებს კბილანების საღარავ ჩარხზე.

ფოტო ვ. ზარიძისა.

ავამაღლოთ საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების როლი და აქტივობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების პრაქტიკაში ფართოდ დანერგვის, წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდის საფუძველზე დასახა სოციალისტური მრეწველობის შემდგომი მძლავრი აღმავლობის სტრატეგიული პროგრამა. ამ პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში უპირველესად დიდია სამრეწველო საწარმოთა პარტიული პარტიული ორგანიზაციების როლი.

საწარმოს კოლექტივში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის მაღალ დონეზე ბევრად არის დამოკიდებული ფაბრიკისა თუ ქარხნის წარმატება. პირველადი პარტიული ორგანიზაცია ყველაზე უფრო ახლო დგას წარმოებასთან და შესაძლებლობა აქვს გავლენა მოახდინოს მის საქმიანობაზე, დროულად შეამჩნიოს ნაკლოვანებანი და მიიღოს ზომები ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, ყოველდღიურად გასწიოს პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა მშრომელთა შორის. პარტიული ორგანიზაციების პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა მასებში, — თქვა ამხანაგმა ნ. ა. ბულგანინმა მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმზე, — ყოველთვის იყო და ახლაც არის საფუძველი ყველა ჩვენი გამარჯვებისა საშეურნეო მშენებლობაში. ი. ბ. სტალინი მიგვითითებდა, რომ სამეურნეო წარმატებანი, მათი სიმტკიცე და ხანგრძლივობა მთლიანად და სავსებით დამოკიდებულია პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის წარმატებებზე, რომ თუ ეს პირობა არ იქნება, სამეურნეო წარმატებები ქვიშაზე აგებული აღმოჩნდეს".

ჩვენს რესპუბლიკაში ბევრი მოწინავე საწარმოა, რომელთა პარტიული ორგანიზაციები წარმატებით ახორციელებენ პარტიული კონტროლის უფლებას ადმინისტრაციის საქმიანობისადმი, უნარიანად ახმამებენ პოლიტიკურ და სამეურნეო მუშაობას, სწორად ახარისხებენ კომუნისტებს წარმოების გადამწყვეტ უბნებზე. ამ საწარმოებში მთლიანად და გადაჭარბებით სრულდება სახელმწიფო გეგმები, ფართოდ ინერგება ახალი ტექნიკა და გაუმჯობესებული ტექნოლოგია, იზრდება შრომის ნაყოფიერება და მცირდება პროდუქციის თვითღირებულება.

მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ქუთაისის მანქანათმშენებელი ქარხნის პარტიული ორგანიზაცია. მანქანათმშენებელ კომუნისტთა მთელი საქმიანობა მიმართულია საწარმოო დავალებათა ვადამდე და მაღალხარისხოვანი მაჩვენებლებით შესრულებისაკენ. პარტიული ორგანიზაცია ყოველდღიურად რაზმავს ქარხნის კოლექტივს საწარმოს შიდარეზერვების გამონახვისა და რაც შეიძლება სრულად გამოყენებისათვის, ხელს უწყობს და ავითარებს მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა შემოქმედებითს აქტივობასა და ინიციატივას. კომუნისტები ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლის ორგანიზატორები არიან. პარტიული ორგანიზაციის ინიციატივით მნიშვნელოვნად ამაღლდა წარმოების ახალი ტექნიკით შეიარაღების დონე.

ამასთან ერთად აუცილებელია აღინიშნოს, რომ მთელ რიგ საწარმოებში ჯერ კიდევ დაბალია პარტიული მუშაობის დონე. ბევრ შემთხვევაში საწარმოთა პარტიული ორგანიზაციები სუსტად იბრძვიან ტექნიკისა და წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფისათვის. ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია ღრმად ვერ სწვდება წარმოების ეკონომიკას, მხედველობიდან რჩება მრეწველობის უმნიშვნელოვანესი საკითხები, ურიგდება ნაკლოვანებებს, გადამწყვეტ ბრძოლას არ აჩაღებს ცალკეული სამეურნეო ხელმძღვანელების რუტინისა და დახავსებულობის წინააღმდეგ.

ასეთი ნაკლოვანებებია, მაგალითად, ზათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობაში. საწარმოში თავმოყრებულია პოლიტიკური აგიტაციის, იშვიათად ეწყობა საწარმოო თათბირები და მუშათა კრებები, არ ხდება ნოვატორთა გამოცდილების განზოგადება და გავრცელება. საკმაო ყურადღება არ ექცევა წარმოების გადამწყვეტ უბნებზე პარტიული ძალების მოფიქრებულად განაწილებას. უკანასკნელი შვიდი თვის განმავლობაში კომუნისტებს ერთხელაც არ განუხილავთ პარტიულ კრებაზე წარმოებაში ახალი ტექნიკისა და გაუმჯობესებული ტექნოლოგიის დანერგვის, შრომის ნაყოფიერების გადიდების, მუშათა ტექნიკური სწავლების საკითხები. პარტიული ორგანიზაცია არადამაკმაყოფილებლად ეწევა ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა პროპაგანდას, სუსტად არის გაშლილი პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება. მნიშვნელოვანწილად ამითაც აიხსნება, რომ ქარხანა შეუწყნარებლად ჩამორჩება საწარმოო დავალებათა შესრულებაში.

ბრძოლა წარმოებაში ახალი ტექნიკის და გაუმჯობესებული ტექნოლოგიის დანერგვისათვის საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს. ამავე დროს არანაკლები მნიშვნელობა აქვს არსებული ტექნიკისა და მოწყობილობის ათვისებას და მთელი სიმძლავრით გამოყენებას. ამოცანა ის არის, რომ კომუნისტები ტექნიკის ათვისებისათვის ბრძოლის ნამდვილი მეთაურები იყვნენ, კიდევ უფრო გააძლიერონ წარმოების ნოვატორთა გამოცდილების პროპაგანდა, გადააქციონ ეს გამოცდილება ყველა მუშის კუთვნილებად. ეს პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს ძირფესვიანად გაუმჯობესონ მუშაობა გამომგონებლებთან და რაციონალიზატორებთან, მხარი დაუჭირონ ყოველ საქმიან წინადადებას და იბრძოლონ მისი წარმოებაში დანერგვისათვის.

— სახელმწიფო გეგმა კანონია თვითეული სამინისტროსათვის, მთავარი სამმართველოსათვის, საწარმოსათვის, — ჩაწერილია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილებაში. პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა უზრუნველყონ თვითეული საწარმოს მიერ სახელმწიფო გეგმის უთუოდ შესრულება, არავითარ შემთხვევაში არ შეურიგდნენ ჩამორჩენას. მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა პარტიული ორგანიზაცია როდი იჩენს საჭირო აქტივობასა და პასუხისმგებლობას საწარმოო დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში. ეს პირდაპირ შეეხება ტყიბულის მოლოტოვის სახელობის შახტის პარტიულ ორგანიზაციას. შახტი ჩამორჩება ქვანახშირის ამოღების საქმეში, მაგრამ საშახტო პარტიული ორგანიზაცია ურიგდება ამ ჩამორჩენას და არ იღებს კონკრეტულ ზომებს მუშაობაში გარდატეხის მისაღწევად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის მიერ დასახული ამოცანების პრაქტიკულად განხორციელება მოითხოვს შემდგომ ავამაღლოთ საწარმოთა პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლი და აქტივობა. ეს ნიშნავს, რომ პარტიული ორგანიზაციები მეთაურობდნენ მშრომელთა პატრიოტულ აღმავლობას, ახალი შრომითი წარმატებებისათვის აღაფრთოვანებდნენ მათ. მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის ფართო მასების დარაზმვის საქმეში დიდი როლი უნდა შეასრულონ პროფესიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. აუცილებელია პარტიული ორგანიზაციები თავიანთ მუშაობაში დაეყრდნონ პროფესიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, წარმართონ მათი ღონისძიებანი ქვეყნის წინაშე მდგომი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების გადასაწყვეტად.

სამრეწველო საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესება პარტიული კომიტეტების ყოველდღიური საზრუნავია. საჭიროა, რომ საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე, რაიონულ და საქალაქო კონფერენციებზე, რომლებიც ოქტომბერში, ნოემბერსა და დეკემბერში გაიმართება, კომუნისტებმა განიხილონ საწარმოთა პარტიული ორგანიზაციებისადმი პარტიული კომიტეტების ხელმძღვანელობისა და დახმარების საკითხები.

საბჭოთა ხალხი თავდადებით შრომობს და ახალ წარმატებებს აღწევს სკკპ XX ყრილობის აღსანიშნავად. საწარმოთა პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან სათავეში ჩაუდგნენ მშრომელთა შემოქმედებითს აქტივობას, მთელი ძალები დარაზმონ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, მრეწველობის შემდგომი აღმავლობისათვის საბრძოლველად.

მაღარომ შეასრულა თავისი ხუთწლიანი გეგმა

ჭიათურა. (საკ. კორ.). პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების პირველი თვე — აგვისტო ჭიათურის მარგანეცის ტრესტის დიმიტროვის სახელობის მაღაროს კოლექტივმა მნიშვნელოვანი წარმატებით აღნიშნა: 1 სექტემბრისათვის შეასრულა თავისი ხუთწლიანი გეგმა და 1950 წლის დონესთან შედარებით ორჯერ და უფრო მეტად გაადიდა მადნის მოპოვება.

ამ მოწინავე მაღაროს კოლექტივმა იკისრა წლის ბოლოსათვის სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცეს რვა მილიონი მანეთის პროდუქცია.

თავდადებით შრომობენ ვალდებულების გასანაღდებლად

თბილისის თამბაქოს მეორე ფაბრიკის კოლექტივმა პარტიის XX ყრილობისათვის მზადების დღეებში დიდ საწარმოო გამარჯვებას მიაღწია — 5 სექტემბრისათვის 100,1 პროცენტით შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების ხუთწლიანი გეგმა. 1950 წელთან შედარებით პროდუქციის გამოშვება გადიდებულია 159,7 პროცენტით.

ფაბრიკის კოლექტივმა პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად იკისრა წლის ბოლომდე ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით გამოუშვას 12 მილიონი მანეთის პროდუქცია.

ნახევარი მილიონი მეტრი ზეგეგმითი ქსოვილისათვის

ქუთაისი. (საკ. კორ.). აბრეშუმკომბინატის კოლექტივს მეორე კვარტალში მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებისათვის მიანიჭეს საკავშირო პროფსაბჭოსა და სსრ კავშირის ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია, აგრეთვე რესპუბლიკური გარდამავალი დროშა.

ქუთაისელმა აბრეშუმმქსოველებმა გადაწყვიტეს სკკპ XX ყრილობის აღსანიშნავად წელს სამშობლოს გეგმის გადამეტებით მიჰცენ სულ ცოტა ნახევარი მილიონი მეტრი ქსოვილი.

ამჟამად კომბინატის კოლექტივს უკვე შესრულებული აქვს მეხუთე ხუთწლედის დავალება საერთო პროდუქციის გამოშვების მოცულობის მიხედვით.

ახალი თევზი გეგმის გადამეტებით

ბათუმი. (საკ. კორ.). თევზჭერის საქართველოს მთავარი სამმართველოს ბათუმის ბაზის კოლექტივმა უკვე გაარაჯა საშემოდგომო თევზჭერა. 25 აგვისტოსათვის მეთევზეებმა გაანაღდეს მთელი თვის დავალება — 1.700 ცენტნერის ნაცვლად 1.850 ცენტნერი თევზი დაიჭირეს.

ახლა ბათუმელი მეთევზეები პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგანან და დღითიდღე აძლიერებენ თევზჭერის ტემპს.

წველადობის წლიური გეგმები შეასრულეს

ზათუმის რაიონმა გადაჭარბებით შეასრულა წველადობის წლიური გეგმა. თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიღებულია 1.524 კილოგრამი რძე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.500 კილოგრამისა.

რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს 1 ოქტომბრისათვის ერთ საფურაჟე ძროხაზე მოწველონ 1.700 კილოგრამი რძე.

* * *

დმანისის რაიონის კოლმეურნეობებმა 1 სექტემბრისათვის წველადობის წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიღებულია 1.049 კილოგრამი რძე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.000 კილოგრამისა.

რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს 1 ოქტომბრისათვის თვითეულ საფურაჟე ძროხაზე წლიური გეგმის გადამეტებით მოწველონ 150 კილოგრამი რძე.

პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს 20 სექტემბრისათვის შეასრულონ რძის ჩაბარებისა და სახელმწიფო შესყიდვის წლიური გეგმა.

* * *

თერჯოლის რაიონის კოლმეურნეობებმა წველადობის წლიური გეგმა შეასრულეს. თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიღებულია 701 კილოგრამი რძე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 700 კილოგრამისა.

რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს პირველ ოქტომბრამდე წლიური გეგმის გადამეტებით თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მოწველონ 130 კილოგრამი რძე.

ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ი. კ. პაასიკივის მოსკოვს გამომგზავრების შესახებ

16 აგვისტოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა შემდეგი წერილი გაუგზავნა ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ბ-ნ ი. კ. პაასიკივის:

„თქვენო აღმატებულებავ,

1948 წელს სსრ კავშირსა და ფინეთს შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ხელმოწერით მტკიცე საფუძველი ჩაეყარა ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრულ და კეთილმეზობლურ ურთიერთობას. მას შემდეგ განვლილ წლებში მიღწეულია დიდი წარმატებანი საბჭოთა კავშირისა და ფინეთის ურთიერთობის განვითარებაში ორივე ქვეყნის ხალხების საკეთილდღეოდ.

ბატონო პრეზიდენტო, თქვენს პირად მონაწილეობას როგორც მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადებაში, ისე შესანიშნავ წვლილს, რომელიც ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარების საქმეში შეიტანეთ, დიდად ვაფასებთ საბჭოთა კავშირში. მიგვაჩნია რა, რომ ასეთი ურთიერთობის შემდგომი განვითარება შეესაბამება ჩვენი ორივე ქვეყნის ხალხების მისწრაფებას მშვიდობისა და მეგობრობისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და პირადად მე მოხარული ვიქნებით მიგიღოთ თქვენ მოსკოვში როგორც ჩვენი სტუმარი, როცა ეს თქვენთვის მოსახერხებელი იქნება. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მოხარული იქნება მიიღოს აგრეთვე თქვენი თანმხლები პირნი.

მოსკოვში თქვენი ყოფნის დროს შესაძლებელი იქნება აზრთა გაზიარება იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც სასურველია განხორციელდეს ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცების ინტერესებისათვის.

ერწმუნეთ, თქვენო აღმატებულებავ, ჩემს თქვენდამი ღრმა პატივისცემას".

25 აგვისტოს ფინეთის პრეზიდენტმა ი. კ. პაასიკივიმ შემდეგი საპასუხო წერილი გამოუგზავნა კ. ე. ვოროშილოვს:

„თქვენო აღმატებულებავ,

მადლობას გიძღვნით თქვენი აღმატებულების ამა თვის 16 რიცხვის წერილში გამოთქმული თავაზიანი მიწვევისათვის — ჩამოვიდე მოსკოვს როგორც უმაღლესი პრეზიდიუმისა და თქვენი აღმატებულების სტუმარი.

სიამოვნებით ვიღებ ამ მიწვევას. მზად ვარ ჩამოვიდე მოსკოვს მომდინარე წლის სექტემბრის მეორე ნახევარში თქვენთვის მისაღებ დროს.

კმაყოფილებით შეეხედი თქვენი აღმატებულების სიტყვებს, რომ ფინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ 1948 წელს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობა კეთილსასურველად ვითარდება და რომ ამ ურთიერთობის შემდგომი განვითარება შეესაბამება ჩვენი ხალხების მისწრაფებას მშვიდობისა და მეგობრობისადმი. თქვენი აღმატებულების მიერ გამოთქმული ეს აზრები შეესაბამება აგრეთვე ჩემს აზრს ფინეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობისა და მომავალში მასთან დაკავშირებულ მისწრაფებათა შესახებ.

იმედი მაქვს, რომ მომავალი მოლაპარაკება მოსკოვში ხელს შეუწყობს ამ კეთილსასურველი განვითარების განმტკიცების საქმეს.

ერწმუნეთ, თქვენო აღმატებულებავ, ჩემს ღრმა პატივისცემას".

უფრო გვიან მომხდარი მოლაპარაკების დროს შეთანხმებულ იქნა, რომ პრეზიდენტი პაასიკივი მოსკოვს თვითმფრინავით გამოემგზავრება მომდინარე წლის 15 სექტემბერს.

ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტთან ერთად მოსკოვს ჩამოვლენ ფინეთის პრემიერ-მინისტრი ურხო კეკონენი, თავდაცვის მინისტრი ემილ სკუგი და საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი რ. სიენტო. გარდა ამისა, მოგზაურობაში მონაწილეობას მიიღებენ საგარეო საქმეთა სამინისტროს კანცელარიის უფროსი საბელმწიფო მდივანი რ. სეპიალია, აგრეთვე მედიცინის დოქტორი აარნე კოსკიმიესი, როგორც პრეზიდენტის პირადი ექიმი.

სსრკ ინოპალატა მეზღვაურობის რუსთავში

რუსთავი. (საკ. კორ.). მეორე დღეა რუსთავში სტუმრად იმყოფება სტალინოელ მეტალურგთა დელეგაცია. გუშინ დელეგაციის წევრები სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მუშაობის ახლოს გაცნობის მიზნით პროფესიების მიხედვით განაწილდნენ ძირითად საამქროებში. დელეგაციის მეთაური ინჟინერ-მგლიანავი ფ. ზილოვი, უფროსი მვალცავები ა. ჩურაკოვი და ვ. ტურევიანკოვი იყვნენ მილსაგლინავ და წვრილსორტულ საამქროებში, ცვლის უფროსი ი. როგაჩოვი და მექანიკოსი ი. ოსმაგა — საბრძმედე საამქროში, ხოლო მეფოლადე ნ. ბიჩკოვი — მარტენის საამქროში.

საამქროებში ყოფნისას სტუმრები დაკვირვებით ადევნებდნენ თვალყურს ტექნოლოგიური პროცესების მიმდინარეობას და რუსთავის მეტალურგებს საყურადღებო შენიშვნები მისცეს. ნ. ბიჩკოვი მეფოლადეებს ესაუბრა ღუმელების გამძლეობის გადიდების, ქვედისა და თაღის შეკეთების, ფოლადის გამოდნობის ციკლიური პროცესების წარმართვის შესახებ და მისცა რამდენიმე რჩევა საკუთარი გამოცდილებიდან. შემდეგ ნ. ბიჩკოვმა ე. ვორონოვის ცვლის მეფოლადეებს დაწვრილებით გააცნო ბრძმედზე მუშაობის თავისი გამოცდილება.

რუსთავის მეტალურგები სტუმრებს ყველაზე გულთბილად ხვდებოდნენ.

ხორცის, რძისა და კვერცხის ჩაბარების გეგმის შესრულების მიმდინარეობა საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებში

(1955 წლის 1 სექტემბრის ცნობებით)

ხორცის ჩაბარებაში

წინ მიდიან

მუხროვანის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა.
ელდარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობა.
კრწანისის სანაშენე საბჭოთა მეურნეობა.
ბაშკიჩეთის სანაშენე საბჭოთა მეურნეობა.

ჩამორჩებიან

ძველი სენაკის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობა.
ყარაიის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა.
გაგრის მეფრინველეობის ფაბრიკა.

რძის ჩაბარებაში

წინ მიდიან

მუხროვანის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა.
ელდარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობა.
ყულარის ცხენსაშენე
გაგრის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა.

ჩამორჩებიან

ბაშკიჩეთის სანაშენე საბჭოთა მეურნეობა.
კრწანისის საბჭოთა მეურნეობა.
ყარაიის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა.

კვერცხის ჩაბარებაში

წინ მიდიან

გაგრის მეფრინველეობის ფაბრიკა.
კრწანისის სანაშენე საბჭოთა მეურნეობა.

წველადობა ერთ საფურაჟე ძროხაზე

წინ მიდიან

მუხროვანის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა.
ძველი სენაკის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობა.
კრწანისის სანაშენე საბჭოთა მეურნეობა.

ჩამორჩებიან

ყარაიის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა.
ყულარის ცხენსაშენე
ელდარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობა.
გაგრის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა.
ბაშკიჩეთის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა.

სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარების წლიური გეგმის შესრულების მიმდინარეობა საქართველოს სს რესპუბლიკაში.

(1955 წლის 1 სექტემბრის ცნობებით)

ხ ო რ ც ი

წინ მიდიან		ჩამორჩებიან	
აჭარის ასსრ		გარეუბნის	რაიონი
სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი		თეძრი წყაროს	„
		ქასპის	„
		ქაჭრეთის	„
ასპინძის	რაიონი	მარნეულის	„
გურჯაანის	„	საგარეჯოს	„
ლენტეხის	„	სიღნაღის	„
თელავის	„	ყაზბეგის	„
ლაგოდეხის	„	წალკის	„
ამბროლაურის	„	წითელწყაროს	„
გეგეჭკორის	„	ხაშურის	„
ზუგდიდის	„		
მახარაძის	„		
წალენჯიხის	„		

რ ძ ე

წინ მიდიან		ჩამორჩებიან	
ასპინძის	რაიონი	ადიგენის	რაიონი
ბოგდანოვკის	„	ახმეტის	„
გარეუბნის	„	ქასპის	„
გურჯაანის	„	ზესტაფონის	„
დმანისის	„	ტყიბულის	„
თეთრი წყაროს	„	ფოთის	„
ონის	„	ცხაკაიას	„
მახარაძის	„	წულუკიძის	„
წალენჯიხის	„	ჭიათურის	„
		ხობის	„

კ ვ ე რ ც ხ ი

წინ მიდიან		ჩამორჩებიან	
ასპინძის	რაიონი	ახმეტის	რაიონი
ახალციხის	„	გურჯაანის	„
წითელწყაროს	„	ქაჭრეთის	„
ახალქალაქის	„	ხაშურის	„
ბოგდანოვკის	„	ამბროლაურის	„
ადიგენის	„	გეგეჭკორის	„
გარეუბნის	„	ზესტაფონის	„
თიანეთის	„	ფოთის	„
ქასპის	„	ხობის	„
ამბროლაურის	„	თერჯოლის	„

გუშინ ავჭონომიური ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს რძის დამზადებისა და შესყიდვის სახელმწიფო გეგმა

ასრულებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ტუვის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა რძის დამზადებისა და შესყიდვის სახელმწიფო გეგმა ვადამდე 103 პროცენტით შეასრულეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 24 ათასი ცენტნერით მეტი რძე, ვიდრე შარშან. რძისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების ჩაბარება გრძელდება.

ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებში

საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის მდივნის ანგარიში რაიკომის ბიუროზე

ბეგებჭკორი. (საკ. კორ.). სოფელ ხუნწის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციამ ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნა მუშაობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ისტორიული პლენუმების გადაწყვეტილებათა საფუძველზე. ამის გამო ბევრი ნაკლი აქვს შინაპარტიულ მუშაობაში. იშვიათად ეწყობა პარტიული კრებები, ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებას. პარტიული ორგანიზაცია ვერ იყენებს კოლმეურნეობის გამგეობის სამეურნეო საქმიანობისადმი კონტროლის უფლებას, ღრმად ვერ სწვდება საკოლმეურნეო წარმოებას. ჩამორჩენილია პოლიტიკური აგიტაცია. აგიტატორთა ერთი ნაწილი დაუდევრად ასრულებს თავის მოვალეობას, უფერულად და ზერელედ აწყობს საუბრებს.

პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის არადამაკმაყოფილებელი დონე ცუდ გავლენას ახდენს საკოლმეურნეო წარმოებაზე. დაბალია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა.

პარტიის რაიკომის ბიურომ ამას წინათ განიხილა კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივნის ანგარიში და დასახა სათანადო ღონისძიებანი გამომჟღავნებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

რაიონული კომიტეტი და კედლის გაზეთები

ოჩამჩირე. („კომუნისტის“ კორ.). სოფელ ათარის სტალინის სახელობის, ჭლოუს ვოროშილოვის სახელობისა და არადუს მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობების კედლის გაზეთები არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ. წელს გაზეთების მხოლოდ 2-3 ნომერი გამოვიდა. სამწუხაროდ, კედლის გაზეთების ამ ნომრებშიც მკრთალად არის გაშუქებული კოლმეურნეობების ცხოვრება, არაფერია ნათქვამი მოწინავეთა გამოცდილებაზე და სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობაზე. ეს ნაკლოვანებანი იმით არის გამოწვეული, რომ საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციები ნაკლებად ზრუნავენ ძირეული პრესის მუშაობის გაუმჯობესებისათვის. აღსანიშნავია, რომ პარტიის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება და რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფები სუსტად ეხმარებიან კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიებს.

პარტიის რაიკომის ბიურომ განიხილა აღნიშნულ კოლმეურნეობათა კედლის გაზეთების მუშაობის საკითხი და დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი ძირეული პრესის მუშაობის გასაუმჯობესებლად.

რუსეთის პირველი რევოლუციის ისტორიის შთამაგონებელი ფურცლები

ამ დღეებში, როცა საბჭოთა ხალხი აღნიშნავს სახელოვან თარიღს — 1905-1907 წლების რუსეთის პირველი რევოლუციის 50-ე წლისთავს, ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალში მშრომელთა მრავალი ექსკურსია მოდის.

მუზეუმში მოსულნი განსაკუთრებით დიდხანს ჩერდებიან იმ დარბაზებში, რომლებშიც გამოფენილია რუსეთის პირველი რევოლუციის მასალები.

რუსეთის პირველი რევოლუციის დასაწყისს წარმოადგენს პეტერბურგის 9 (22) იანვრის ამბები. ეს დღე ისტორიაში სისხლიანი კვირის სახელწოდებით არის ცნობილი. დამთვალიერებლებზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მხატვარ ი. ვლადიმიროვის სურათი: „პეტერბურგის მუშების დახვრეტა ზამთრის სასახლესთან 1905 წლის 9 (22) იანვარს“. დამთვალიერებლები ყურადღებით კითხულობენ ვ. ი. ლენინის სტატიას „რევოლუციის დასაწყისი რუსეთში“, სადაც მოცემულია 9 (22) იანვრის ამბების შეფასება: „მუშათა კლასმა სამოქალაქო ომის დიდი გაკვეთილი მიიღო; პროლეტარიატის რევოლუციურმა აღზრდამ ერთ დღეს ისეთი ნაბიჯი გადადგა, როგორსაც იგი უფერული, ყოველდღიური, დაბეჩავებული ცხოვრების თვეებსა და წლებში ვერ გადადგამდა“.

9 (22) იანვრის ამბებს ლენინურმა გაზეთმა „ვპერიოდმა“ ორი ნომერი მოუძღვნა. აქ კედელზე ექსპონირებულია გაზეთ „ვპერიოდის“ ამ ნომრების დედნები. მათში მოთავსებულ სტატიებში ვ. ი. ლენინმა, ამომწურავი შეფასება მისცა რა 9 იანვრის ამბებს, რუსეთის მუშათა კლასს დაუსახა დაწყებული რევოლუციის გაღრმავება-განვითარების გზა და მგზნებარედ მოუწოდა დაუყოვნებლივი შეიარაღებისაკენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გადამწყვეტი იერიშის მისატანად.

ამავე პერიოდში ი. ბ. სტალინი მ. ცხაკაიასთან ერთად ხელმძღვანელობდა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტს. მუზეუმში წარმოდგენილია მხატვარ პ. ბლოტკინის სურათი „რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი ი. ბ. სტალინის მეთაურობით 1905-1906 წლებში“.

მუზეუმის IV დარბაზის ცენტრში მოთავსებულია მაკეტი ავლაბრის არალეგალური სტამბისა, სადაც ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე იბეჭდებოდა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ორგანო გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა“, რომელიც სტალინის რედაქციით გამოდიოდა.

რევოლუციური მოძრაობის აღმავლობა პარტიისაგან მოითხოვდა სწორი ტაქტიკის გამომუშავებას. პარტიის ტაქტიკის გამომუშავების მიზნით 1905 წლის აპრილში ქ. ლონდონში გაიხსნა რსდმპ მე-3 ყრილობა. მუზეუმში გამოფენილი დოკუმენტები გვიჩვენებენ, თუ რა დიდი მუშაობა გასწია ვ. ი. ლენინმა და ბოლშევიკებმა პარტიის მე-3 ყრილობის მოსწვევისათვის.

მუზეუმის სხვა ექსპონატები ასახავენ რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლას მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. გვიჩვენებენ თუ როგორ დაიწყო მუშათა მოძრაობის სწრაფი ზრდის გავლენით რევოლუციური გამოსვლები გლეხობაშიც.

დამთვალიერებლების დიდ ინტერესს იწვევს მხატვარ ს. ნადარეიშვილის ტილო „ი. ბ. სტალინის გამოსვლა გლეხთა წინაშე გურიის სოფელ ხიდისთავში მოწვეულ სადისკუსიო მიტინგზე 1905 წელს“.

დამთვალიერებელთა ყურადღებას იპყრობს მხატვარ ი. ვეფხვაძის დიდი მხატვრული სურათი, რომელზეც ასახულია ტამერფორსის ბოლშევიკური კონფერენციაზე ბოლშევიკური პარტიის ფუძემდებლის ვ. ი. ლენინისა და მისი ერთგული მოწაფისა და თანამებრძოლის ი. ბ. სტალინის პირველი შეხვედრა, საიდანაც საფუძველი ჩაეყარა „მთის არწივისა“ და „მგზნებარე კოლხიდელის“ დიად თანამეგობრობას.

დიდ ინტერესს იწვევს ვიტრინაში გამოფენილი მოსკოვის მუშათა დეპუტატების საბჭოს გაზეთი „იზვესტია“ (№ 3, 1905 წ. 9 დეკემბერი), სადაც დაბეჭდილია „მოსკოვის მუშათა დეპუტატების საბჭოს დადგენილება 7 დეკემბრის დღის 12 საათიდან საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვის დაწყებისა და შეიარაღებული აჯანყებად მისი გადაქცევის შესახებ“. აქვეა ლითოგრაფიული ასლი გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკისა“ (№ 12, 1905 წ. 8 დეკემბერი), სადაც გაზეთ „ვპერიოდის“ № 11-დან გადმობეჭდილია სტატია „ქუჩის ბრძოლების შესახებ“ (კომუნის გენერლის რჩევა) ლენინის სარედაქციო წინასიტყვაობით.

მოსკოვის საბჭოს მოწოდებას გამოეხმაურნენ მოსკოვის ყველა რაიონში. მოსკოვში დაიწყო პოლიტიკური გაფიცვები, რაც გადაიზარდა შეიარაღებულ აჯანყებაში. ქუჩები ბარიკადებით დაიფარა. აჯანყების ცენტრი გახდა მოსკოვის მუშათა განაპირა რაიონი პრესნაია. მუზეუმში წარმოდგენილია მხატვარ ვლადიმიროვის სურათი „ბრძოლები წითელ პრესნაიაზე“. ცხრა დღის განმავლობაში რამდენიმე ათასი შეიარაღებული მუშა გმირულ საბარიკადო ბრძოლას ეწეოდა ცარიზმის წინააღმდეგ. მეფის ხელისუფლებამ შეიარაღებული ძალებით ჩაახრჩო აჯანყება, რომელიც რუსეთის პირველი რევოლუციის განვითარების უმაღლესი წერტილი იყო. მოსკოვის შეიარაღებული აჯანყების ღამარცხების შემდეგ რევოლუციურმა მოძრაობამ შენელება იწყო.

ერთ-ერთ კედელზე წარმოდგენილია 1905-1907 წლების რევოლუციის ჰეროიდში რსდმპ ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელებისა და შეიარაღებულ აჯანყებათა ორგანიზატორების ქ. ე. ვოროშილოვის, მ. ი. კალინინის, მ. ვ. ფრუნზეს, ს. მ. კიროვის, ფ. ე. ძერჟინსკის, ი. მ. სვერდლოვის, გ. კ. ორჯონიკიძის, ვ. ვ. კუიბიშევის სურათების ფოტომონტაჟი.

მუზეუმის მრავალი ექსპონატი, რომელიც მკაფიოდ და ხატოვნად გვიჩვენებს რუსეთის მუშათა კლასის პირველი რევოლუციის გმირულ ხასიათს, დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს მნახველებზე. ისინი შთააგონებენ მათ კიდევ უფრო თავდადებულ ბრძოლას მშობლიური კომუნისტური პარტიის მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანების განხორციელებისათვის, საყვარელი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

შ. გოგიძე,
ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის ლექტორი.

ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალში. სურათზე: ექსკურსანტთა ერთი ჯგუფი ათვალიერებს 1905 წლის რევოლუციის ამსახველ სტენდებს. ფოტო შ. გოგიძისა.

პრესის მიმოხილვა

ღრმად გავაშუქოთ საკოლმეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობა

ქარელის რაიონის სოფლის მეურნეობის მექანიზატორებმა ფართოდ გააჩაღეს პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება საშემოდგომო ხვნა-თესვის წარმატებით ჩატარებისათვის. ამ შეჯიბრების ინიციატორად გამოვიდა რაიონის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი ს. მღებრიშვილი, რომელმაც ამას წინათ გაზეთ „ქარელის კოლმეურნის“ საშუალებით მოწოდებით მიმართა რაიონის მექანიზატორებს და შეჯიბრებაში გამოიწვია ქარელის მტს-ის № 3 სატრაქტორო ბრიგადა. რაიონის მტს-ების მუშაკები, მექანიზატორები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები აქტიურად გამოეხმაურნენ მღებრიშვილის ინიციატივას და ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის. მექანიზატორთა ამ პატრიოტულ წამოწყებას თავის ფურცლებზე ერცლად ასახავს გაზეთი „ქარელის კოლმეურნე“.

19 აგვისტოს გაზეთში დაიბეჭდა ქარელის მტს-ის № 3 სატრაქტორო ბრიგადის წევრთა კოლექტიური წერილი „სიხარულით ვიღებთ ს. მღებრიშვილის ბრიგადის გამოწვევას“. „ჩვენმა ბრიგადამ, — წერენ ისინი, — საშემოდგომოდ უნდა მოხნას 790 ჰექტარი, აქედან ჯვარედინად და ვიწროშწკრივებად დავთესავთ 700 ჰექტარს. ვიღებთ რა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვევას, გკისრულობთ ჩვენი ბრიგადისათვის დავალებული საშემოდგომო სამუშაოები წარმატებით და მაღალხარისხოვნად შევასრულოთ. ჩვენი ტრაქტორისტები გადასული არიან სადღეღამისო ხვნაზე და თავდადებით მუშაობენ. ვებრძვით რა სოციალისტურ შეჯიბრებაში, ჩვენი მხრით ვიწვევთ აგარის მტს-ის № 4 სატრაქტორო ბრიგადას, რომელსაც ცნობილი მექანიზატორი ა. გეგელაშვილი ხელმძღვანელობს“...

„ქარელის კოლმეურნე“ სისტემატურად ბეჭდავს მასალებს მექანიზატორთა სოციალისტური შეჯიბრების შესახებ, მშრომელებს აცნობს საშემოდგომო სამუშაოთა მიმდინარეობას.

გაზეთმა ჯერ კიდევ 7 აგვისტოს ნომერში დაბეჭდა სპეციალური მოწინავე წერილი, რომელშიც მოცემულია ამ მნიშვნელოვანი კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის რაიონის მშრომელთა წინაშე მდგომი ამოცანები. ამასთან ერთად კოლმეურნეობათა გამგეობების ყურადღებას ამახვილებს ჯერ მიწის, კონდიციური თესლის მომარაგების აუცილებლობაზე, მინერალური და ადგილობრივი სასუქების სწორად გამოყენებაზე.

14 აგვისტოს გაზეთმა დაბეჭდა ქარელის მტს-ის დირექტორის ვ. ღოღობერიძის წერილი. წერილში ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ შეხვდა მტს-ის კოლექტივი საშემოდგომო სამუშაოთა დაწყებას. როგორც ავტორი აღნიშნავს, მტს-ში დროულად მოამზადეს ტრაქტორები, სათესები და სხვა მანქანები. ამასთან შედგენილ იქნა სატრაქტორო ბრიგადების სამუშაო გეგმები, რომლებსაც გაეცნო ყველა ტრაქტორისტი. წერილში გაკრიტიკებულია კეხიჯვრისა და ღვლევის კოლმეურნეობათა გამგეობები, რომლებიც სუსტად ეხმარებიან სატრაქტორო ბრიგადებს. წერილში საკმაო ადგილი აქვს დათმობილი იმ მიღწევებს, რაც მტს-ის კოლექტივს აქვს ხვნა-თესვაში. მაგრამ ავტორი არაფერს ლაპარაკობს ნაკლოვანებებზე, ჩრდილოვან მხარეებზე მტს-ის საქმიანობაში. გაზეთი კი 26 აგვისტოს ნომერში აღნიშნავდა, რომ ქარელის მტს-ი სრულ უყურადღებობას იჩენს ზღუდარის კოლმეურნეობისადმი, რომლის ფართობში მას ჯერ ერთი კვალიც კი არ გაუვლია.

